ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
მუნიციპალური ინსპექცია

№ 3-19/01182784041-17

„24." 10. 2018 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, დასახლება მუხიანი, მიკრო/რაიონი IV, რადიოქრხნის მოპირდაპირე მხარეს (საკ. კოდი №01.11.17.005.088) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (ბენზინ-დიზელ გასამართი – III კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №35959 48 06.10.2017წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ დასახლება მუხიანი, მიკრო/რაიონი IV, რადიოქრხნის მოპირდაპირე მხარეს მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

ფასადი "1-2" და "1-6": ნაწილობრივ შეცვლილია ბეტონის საფარის ნიშნული. "1-2" მონაკვეთზე გაუქმებულია სარეკლამო ბანერი. დამატებულია მიწის ქვეშ არსებული საწვავის რეზერვუარის ე.წ. სასუნთქი მილები. მონაცვლებულია მეხამრიდის მდებარეობა. "2-3" მონალვეთში გაზრდილია სარეკლამო ბანერის სიგრძე. "1-2" და "1-6" ღერძებს შორის არსებულ კედელზე დამონტაჟებულია კონდიციონერი. "1-2" მონაკვეთში გაუქმებულია ფასის მაჩვენებელი დაფა. "6" ღერძის გარეთ დამატებულია გარე განათების ბოძი.

ფასადი "ა-გ": საოპერატორო შენობაზე დამატებულია სარეკლამო წარწერა. დამატებულია მონოლითური, დაბალი კედელი.

ფასადი "ბ-ა": +5.00 ნიშნულზე დამატებულია სარეკლამო წარწერა. გაუქმებულია სახანძრო სტენდი, სანაცვლოდ ტერიტორიაზე განთავსებულია ცეცხლმაქრები.

ფასადი "6-1": შემცირებულია კედლის გაბარიტები. საოპერატორო შენობაზე ნაწილობრივ შეცვლილია პარაპეტის სიმაღლე, დამატებულია წყალშემკრები და ნაწილობრივ გაუქმებულია წყალსაწრეტი მილები.

±0.00 ნიშნული: შემცირებულია "1-2" მონაკვეთში მდებარე სარეზერვუარო პარკის გაბარიტი. შემცირებულია მანძილი საოპერატორო შენობასა და სარეზერვუარო პარკს შორის 0.64 მ-ით. გაზრდილია საოპერატორო შენობის სიგრძე 0.20 მ-ით, მონაცვლებულია "ბ" ღემზე არსებული კოლონების მდებარეობა, ვიტრაჟების მდებარეობა და ნაწილობრივ გაბარიტი. "ა-ბ" მონაკვეთში შემცირებულია კარის ზომა. "3-6" მონაკვეთში შეცვლილია კოლონების კვეთი.

ჭრილი "2-2": "ბ" ღერძზე დამატებულია რიგელი.

საქ. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 თავის, ამავე კოდექსის 83-ე და 177-ე მუხლების, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-7 პუნქტის, 62-ე მუხლის, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის №28-94 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის

პირველი პუნქტის „ვ” ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ” ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „portal“-ს, ქ. თბილისში, დასახლება მუხიანი, მიკრო/რაიონი IV, რადიოქრხნის მოპირდაპირე მხარეს (საკ. კოდი №01.11.17.005.088) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (ბენზინ-დიზელ გასამართი – III კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №19/01182784041-17 05.10.2018წ. განცხადება.
№წ-19/01182784041-17 08.10.2018წ. ბრძანება.

მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე **გიორგი გეჯაძე**